Inbrandsetzen

Im **deutschen Recht** ist das „Inbrandsetzen“ eine der beiden denkbaren Handlungsmodalitäten i.R.d. Brandstiftungsdelikte (§§ 306 ff. dStGB). Von einem Inbrandsetzen ist auszugehen, wenn ein wesentlicher Teil des Tatobjekts (bei Gebäuden: Böden, Wände, Fenster- und Türrahmen) derart vom Feuer erfasst ist, dass der Brand sich selbstständig (d.h. auch nach Erlöschen des Zündstoffs) weiter ausbreiten kann. Als „Inbrandsetzen“ gilt im **georgischen Recht** die vorsätzliche Beschädigung eines Tatobjektes unter Verwendung eines brennbaren Stoffs oder Gegenstands, der den Vorgang der Entzündung auslöst und die anschließende Zerstörung durch Verbrennung verursacht. Auf diese Weise können diverse Rechtsgüter teilweise oder vollständig beeinträchtigt werden. So stellt das Inbrandsetzen regelmäßig einen qualifizierenden Umstand dar, wenn dadurch Leib und Leben von Menschen gefährdet werden. Bei den Vermögensdelikten kann das Inbrandsetzen sowohl Teil der Tathandlung des Grunddelikts als auch erschwerender Umstand sein. Während das Inbrandsetzen im deutschen Recht seine Bedeutung allein i.R.d. Brandstiftungsdelikte hat, knüpft das georgische Recht auch bei anderen Deliktstypen (Delikte gegen Leib und Leben, Vermögensdelikte) an eben diese Handlung an, um zu einer Strafschärfung zu gelangen. Dies erklärt sich freilich vor dem Hintergrund des Fehlens eines eigenständigen Delikts der Brandstiftung im georgischen Recht (vgl. dazu den Begriff der Brandstiftung). (Abe/Tbe)

ხანძარი

გერმანიის კანონმდებლობაში „ცეცხლის წაკიდება“ (ხანძარი) ქმედების ორივე ფორმის მიხედვით დაკავშირებულია ხანძარსაწინააღმდეგო დანაშაულებთან (გსსკ-ის 306-ე და მომდევნო პარაგრაფები). შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხანძარი სახეზეა, თუ დანაშაულის ობიექტის მნიშვნელოვანი ნაწილი (შენობების შემთხვევაში: იატაკი, კედლები, ფანჯრისა და კარის ჩარჩოები) ცეცხლით ისეა გაჟღენთილი, რომ ცეცხლი შეიძლება დამოუკიდებლადაც გავრცელდეს (ე.ი. აალებადი ნივთიერების განლევის შემდეგაც კი). **ქართული სამართლის** მიხედვით „ცეცლის წაკიდება“ გულისხმობს დანაშაულის ობიექტის დაზიანება მისი განზრახი განადგურების მიზნით, აალებადი ნივთიერების ან საგნის გამოყენებით, რაც იწვევს აალების და შემდგომი წვის პროცესს. ამ გზით სამართლებრივი სიკეთის დაზიანება ან განადგურება ისჯება სსსკ-ით, მაგ. სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ამ ხერხის გამოყენება ამძიმებს დანაშაულის კვალიფიკაციას. ხოლო ქონების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ცეცხლის წაკიდება შესაძლოა იყოს როგორც ქმედების ძირითადი შემადგენლობის ნაწილი, ისე დამამძიმებელი გარემოება. მაშინ როცა, გერმანულ კანონმდებლობაში ცეცხლის წაკიდებას დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ხანძრის კონტექსტში, ამისგან განსხვავებით ქართული კანონმდებლობა ამ ქმედებას სხვა სახის დანაშაულებისთვის (მაგ. სიცოცხლისა და სხეულის წინააღმდეგ, ქონებრივი

დანაშაული) სასჯელის გაზრდის მიზნით იყენებს. ეს რა თქმა უნდა აიხსნება იმით, რომ ქართულ კანონმდებლობაში არ არსებობს ცეცხლის წაკიდება, როგორც ცალკეული დანაშაული (შდრ. ტერმინი ცეცხლის წაკიდება). (Abe/Tbe)